

მე-12 თავი წიგნიდან "რთული ქცევა პატარა ბავშვებში – გაგება, პრევენცია, ფექტური მართვა", ბარბარა კაიზერი, 2007 წელი ("Challenging Behavior in young children – understanding, preventing and responding effectively", by Barbara Kaiser, 2007)

მასალა დაეხმარება ბაღისა და დაწყებითი სკოლის თანამშრომლებს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ოჯახებთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარებაში

მუშაობა ოჯახთან და სხვა ექსპერტებთან

მაშინაც კი, როცა იცით, რომ ბავშვის პრობლემური ქცევის მიზეზები სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობით შეიძლება იყოს გამოწვეული, ხანდახან მაინც ბავშვის ოჯახის დადანაშაულება გვინდება ხოლმე. მაგრამ, სულ უნდა გავხსოვდეს, რომ ოჯახები მტრები არ არიან. პირიქით, ისინი თქვენს მხარეს არიან. მათ უყვართ თავიანთი შვილები და მათი დახმარება სურთ. პირველი შეხედვით, რაც არ უნდა რთულად გვეჩვენებოდეს, ოჯახებთან თანამშრომლობა, საუკეთესო სტრატეგიაა. მნიშვნელოვანია ამ კავშირის მანამდე დამყარება, სანამ სირთულეები წარმოიშობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა იცი, ბავშვს წარსულშიც პრობლემები ჰქონდა. თუ ოჯახს პირველივე კონტაქტის დროს მხოლოდ პრობლემის შესახებ ამცნობთ, მისი გადაჭრის გზების მოძებნა უფრო რთული იქნება.

ამ თავში ჩვენ წარმოგიდგენთ, როგორ უნდა ვიმუშაოთ ოჯახთან, როცა პრობლემური ქცევა იჩენს თავს. ეს თავი სამი ნაწილისაგან შედგება: ოჯახთან შეხვედრისათვის მომზადება, ოჯახთან შეხვედრა და სხვა ექსპერტებთან მუშაობა.

ოჯახთან შეხვედრისათვის მომზადება

სანამ მოემზადებით ოჯახს ბავშვის პრობლემური ქცევის გამო მიმართოთ, მნიშვნელოვანია, რჩევა თქვენს კოლეგებს ჰკითხოთ. ბაღის დირექტორის, ფსიქოლოგის ან სპეციალური მასწავლებლის სამუშაოში შედის ინფორმაციისა და რესურსების მიწოდება, დახმარების გაწევა, როცა პრობლემები გაქვთ: მათთან საუბრის შედეგად თქვენ უფრო მეტი შესაძლებლობა გექნებათ, ბავშვსა და ოჯახს გაუგოთ და დაეხმაროთ. დახმარებისათვის ასევე შეგიძლიათ მიმართოთ უფრო გამოცდილ მასწავლებლებს, ვინც პრობლემური ქცევის ბევრ ბავშვს შეხვედრია და ვინც ადრე მუშაობდა კიდევ კონკრეტულ ბავშვთან ან ოჯახთან. კიდევ ერთი შესაძლებლობა საერთო კრებაზე საკითხის წამოყენებაა.

ყველაფერი, რასაც გრძნობთ (დაბნეული ხართ თუ გაბრაზებული) და ბავშვი რასაც კეთებს არ ერთვება აქტივობებში თუ ვინმეს წიგნს ურტყამს თავში), შეიძლება იყოს საკმაო მიზეზი, ეძებოთ რჩევა და თანაგრძნობა. თუ თქვენ დახმარების მოძებნას მეორე დღისთვის გადადებთ, სანამ ისევ ჯგუფის წინაშე არ წარსდგებით, ძალიან დიდ დროს დაკარგავთ. ხანდახან მასწავლებლები არ ითხოვენ დახმარებას, რადგან

მათ ეშინიათ, რომ არაკომპეტენტურად ჩათვლიან ან მიაჩნიათ, რომ პრობლემის მოგვარებას თავად შეძლებენ. ეს შეცდომაა. ზოგიერთი ბავშვის აღზრდა-განათლება უფრო რთულია, ყველას სჭირდება გრძნობების გამოვლენა, თანატოლების დახმარება და დროდადრო რჩევების მიცემა. როცა საქმე გაქვთ პრობლემურ ქცევასთან, გუნდურად მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ადამიანებს, რომლებსაც განსხვავებული ხედვები და უნარ-ჩვევები აქვთ, შეუძლიათ ერთმანეთს დაეხმარონ კრეატიული და ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად.

(როცა კოლეგასთან ლაპარაკობთ, დაიცავით ბავშვისა და ოჯახის კონფიდენციალობა. თქვენი ეთიკური ვალია, თავდაჭერილი იყოთ პროფესიულ და პირად ცხოვრებაში. არ ისაუბროთ საზოგადოებრივ ადგილებში ან არ ახსენოთ გვარები. არავინ იცის, ვინ ზის თქვენ უკან ხალხმრავალ კაფეში ან კინოთეატრში).

როცა აშკარა გახდება, რომ პრობლემა წარმოიშვა, ოჯახმა უნდა შეიტყოს ამის შესახებ. მათი უფლებაა, პრობლემის შესახებ იცოდნენ. დასაწყისში უფრო ადვილია მასთან გამკლავება, ვიდრე მოგვიანებით. დაუკავშირდით ოჯახს მაშინვე, ასეთი ქცევით მათ ეუბნებით, რომ ბავშვზე ზრუნავთ. ეს მათი დახმარების გამოყენების უკეთეს შანსს გაძლევთ (Walker, Ramsey & Gresham, 2004).

მშობლებს დახმარება უფრო უკეთესად შეუძლიათ. ისინი ბავშვს ყველაზე კარგად იცნობენ, მათ შეუძლიათ, ყველაფერი გითხრან ბავშვის ცხოვრების, კულტურული წარმომავლობისა (ოჯახის როლის, წარმოშობის, ავტორიტეტების) და სტრესების (დაავადების, განქორწინების, ფინანსური პრობლემების გამო) შესახებ. ასევე, მოგაწოდონ ინფორმაცია ბავშვის განვითარებისა და სახლში მისი პრობლემური ქცევის ხასიათის, სინშირისა და სერიოზულობის შესახებ და აგრეთვე როგორ უმკლავდებიან მას. რამდენადაც კარგად გაარკვევთ, როგორი გარემოდან მოდის ბავშვი, იმდენად კარგად იქნებით აღჭურვილი მის ქცევაზე რეაგირებისათვის.

როცა თქვენ და ოჯახი ურთიერთობთ, სცადეთ, გარემოებები მათი თვალთახედვით დაინახოთ და დააკვირდით, რა ძლიერი მხარეები, ცოდნა-უნარები და რესურსები აქვთ. თუ ფიქრობთ, რომ მშობლებს დახმარების უნარი შესწევთ, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ისინი თქვენს იმედებს გაამართლებენ და ერთად სხვადასხვა პრობლემებს გადაჭრით.

როგორ რეაგირებენ ოჯახები პრობლემურ ქცევაზე?

მშობლებს, ცხადია, ძლიერი ემოციები აქვთ თავიანთი შვილების მიმართ და თუმცა მათ ხშირად ზუსტად იციან არსებული პრობლემების შესახებ, რეალურად, არასდროს არ არიან მზად ამაზე სასაუბროდ. მათ ბავშვთან შეიძლება ყოველდღე პრობლემები შეექმნათ ჭამის, ბანაობის და ძილის დროს, სუპერმარკეტში გასვლა კომშარად მიაჩნიათ და ეშინიათ მისი ეზოში ჩაყვანა იმის გამო, რომ მან შეიძლება სხვა ბავშვებს რამე ზიანი მიაყენოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მზად

არიან, მათ ბავშვს სხვადასხვა რთული უწოდდოს. კაროლინ ვებსტერ-სტრატონი და მარტინ ჰერბერტი ნაშრომში „რთულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები – პრობლემური ბავშვები“ წერენ, რომ მშობლებისათვის არ არის ადვილი იმის აღიარება, რომ მათ პრობლემური ქცევის ბავშვი ჰყავთ, ბავშვი, რომელიც სხვებისგან განსხვავდება (გვ. 201).

ოჯახები, რომლებიც პრობლემურ ბავშვებთან ცხოვრობენ შესაძლოა, არანორმალურ სტრესს განიცდიან (Fox, Vaughen, Waytte & Dunlap, 2002). მშობლებმა შეიძლება ერთმანეთი დაადანაშაულონ ბავშვის საქციელის გამო და თავი იგრძნონ გარიყულად, მსხვერპლად, დაუცველად, გაბრაზებულად, უმართავად, დამნაშავედ, დათრგუნულად და/ან სრულიად უფლებობდ (Webster-Statton & Herbert, 1994). მათი აზრით, პრობლემური ბავშვის ყოლა მიანიშნებს, რომ ისინი ცუდი მშობლები არიან და მათ განსჯიან და გარიყავენ არა მარტო სხვა მშობლები (ვისი ბავშვებიც საუკეთესოები არიან), არამედ მთელი სანათესაოც. როცა მათ ელაპარაკებით, ისინი საუბრობენ თავის დადანაშაულებაზე, იმედგაცრუებასა და თავდაცვის გრძნობაზე, რაც წლების მანძილზე აწუხებდათ.

მართალია, ამ საკითხს ოჯახთან პირველად აყენებთ, მაგრამ შესაძლოა ბავშვის პრობლემების შესახებ მან სხვისგან უკვე იცის. თუ მშობლებს უკვე აქვთ გამოცდილება უნებ, არაგულითად მასწავლებლებთან საუბრისა, ყოველი ახალი შეხვედრა, უფრო საშიშად ეჩვენებათ. მეორე მხრივ, თუ მათ ბავშვის პრობლემების შესახებ პირველად ესმით, შეიძლება განადგურებულად იგრძნონ თავი და იფიქრონ, რომ პრობლემების მიზეზი თქვენ ხართ.

შედეგად, ყველა მშობელს თავიდანვე არ ექნება თქვენთან პრობლემური ქცევის მოგვარების სტრატეგიაზე მუშაობის სურვილი. ზოგი შეიძლება სწრაფად შემოგიერთდეთ და ერთად დასახოთ ახალი ტაქტიკა ბავშვთან მუშაობაში, მაგრამ ზოგი შეიძლება ვერ დაითანხმოთ; არიან ოჯახები, რომლებიც რომელიმე ბავშვიდან მიღებული გამოცდილების გამო არ ენდობიან მასწავლებლებსა და ბაღს ან ემინიან მათი, ან კიდევ სჯერათ, რომ სახლი და ბავშვი ძალიან შორის დგანან ერთმანეთისგან (Lareau & Shumar, 1996). ზოგიერთები კი, რომლებსაც არ შეუძლიათ თავიანთი ბავშვების პრობლემებზე საუბარი, შეიძლება აგრესიულად განეწყონ ან საერთოდ არ დაინტერესდნენ (Martin & Hagan-Burke, 2002). ბევრს საერთოდ არ აქვს დრო, ენერგია ან ფული თქვენთან რომ ითანამშრომლოს, რადგან პრობლემური ქცევის ბავშვი ოჯახის რესურსებს შთანთქავს.

შეიძლება უმცირესობათა წარმომადგენლის ოჯახს უმრავლესობის კულტურასთან ენობრივი და წეს-ჩვეულებრივი შეუთანხმებლობა ჰქონდეს. მშობლებს შეიძლება ეგონოთ, რომ მიუღებელია, ოჯახური პრობლემების განხილვა მასწავლებელთან ან შეკითხვების კითხვა, როცა რამეს ვერ იგებენ. მათ შეიძლება ექსპერტად მიგიჩნიოთ, როცა მათთან თანამშრომლობას ცდილობთ. ან შეიძლება მათ იფიქრონ, რომ უზრდელობა იქნება, თუ არ დაეთანხმებიან თქვენს რჩევებს და ცდილობენ, დაგეთანხმონ მაშინაც კი, როცა სიტუაციას აბსოლუტურად განსხვავებულად ხედავენ. მათი აზრების პატივისცემა კომუნიკაციის დამყარებაში

გადადგმული პირველი ნაბიჯია, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანია, მშობლებს შეახსენოთ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გამოიყენონ, როცა ბავშვს დახმარება სჭირდება.

იმის მიუხედავად, როგორი რეაქცია ექნება ოჯახს, თქვენ თავდაცვითი პოზიცია არ უნდა დაიჭიროთ. თუ ოჯახმა გაწყენინათ ან მათი ბავშვი არ მოგწონთ, მათ შეიძლება არ მოგისმინონ არ გაგიზიარონ საკუთარი აზრები და შემდგომი თანამშრომლობა თითქმის შეუძლებელი გახდება. საქმის არსი ნათელია: ამ საქმეში წარმატებაზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ, აღმზრდელი.

ზღვაში დაკარგულები

მშობლებმა, რომლებიც პრობლემური ქცევის ბავშვებთან ცნოვრობენ, ბაღებისა და სკოლებისგან შეიძლება გარიყულად იგრძნონ თავი. ერთი ბავშვის დედამ მკვლევარებს ვებსტერ-სტრატონსა და ჰერბერტს (1994) უამბო საბავშვო ბაღში თავისი ბავშვის გამოცდილების შესახებ:

დირექტორი მოვიდა ჩემთან და მითხრა: „თქვენი ბავშვი ძალიან ავად არის და მას შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში ფსიქონალოგიკური კონსულტაცია დასჭირდეს“. მე მივხვდი, რომ ეს ყველა მასწავლებელმა იცოდა და მთელმა სკოლამ გაიგო, ასე რომ, ჩვენ ვერაფერი მოვახერხეთ. მე ვგრძნობდი, რომ საბავშვო ბაღში ყველა ერთ ნავში იჯდა მაშინ, როცა ჩვენ გარშემო დავცურავდით, რომ მასზე ავსულიყავით...

სასწავლო წლის ბოლოს, ჩვენ მივხვდით, რომ საბავშვო ბაღის ნავი ჩვენ დაგვშორდა და როცა მათ ჩვენ გვითხრეს, რომ უკან არ უნდა დავბრუნდე, ჩვენ ვიგრძენით, რომ წყალში მარტო დავრჩით დასახრჩობად განწირულები (გვ.59).

წყარო: Carolyn Webster-Stratton and Martin Herbert, *Troubled Families – Problem Children: Working with Parents: A Collaborative Process* (Chichester, England: Wiley, 1994). იბეჭდება ნებართვით.

როგორ გრძნობთ თავს?

თქვენც ღელავთ იმის გამო, რომ არ იცით, როგორი რეაქცია ექნება მშობელს თქვენს ნათქვამზე და შეიძლება კიდევ შეშინდეთ, რომ ისინი ბავშვის პრობლემებზე პასუხისმგებლობას თქვენ დაგაკისრებენ ან უბრალოდ არ დაგიჯერებენ. ოჯახებმა, რომლებიც სახლში ძალიან მკაცრ ან ფიზიკურ დისციპლინას იყენებენ, შეიძლება იფიქრონ, რომ თქვენ საკმარისად მკაცრი ან პირდაპირი არ იყავით და ბავშვის კულტურული წარმომავლობიდან გამომდინარე, შეიძლება მართლებიც იყვნენ (Delpit, 2006) (იხილეთ თავი 6 და 9). თუ ბავშვზე გაბრაზებული ან განაწყენებული ხართ, ეს გრძნობები შეიძლება ოჯახთან თქვენს ურთიერთობაზეც აისახოს (Kay, Fitzgerald, & McConaughy, 2002). მნიშვნელოვანია, გააცნობიეროთ და გააკონტროლოთ თქვენი ემოციები.

შეიძლება თქვენც მიიტანოთ „მათ სუფრაზე“ გარკვეული წინასწარ შექმნილი წარმოდგენები. არასამთავრობო ორგანიზაცია „საჯარო პროგრამის“ კვლევის მიხედვით, მასწავლებლების 82 პროცენტი მშობლებს ადანაშაულებს, რომ ბავშვებს დისციპლინა არ ასწავლეს. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ მასწავლებელთა შორის ხშირად განსჯის საგანია მარგინალური ოჯახები – განსხვავებულები თავისი რასის, სოციალური ფენის, შეზღუდული შეზღუდულობის ან ლტოლვილის სტატუსის გამო – რადგან ფიქრობენ, რომ ასეთი ოჯახები ბავშვების ცხოვრებაში არ არიან ჩართული და არ ზრუნავენ მათზე, მაგრამ რეალურად ისინი უმრავლესობის კულტურისაგან განსხვავებული გზით არიან ჩართულები (Lopez, 2001). ამ შეხედულებებთან დასაპირისპირებლად გაიცანით ეს ოჯახები და გაიგეთ მათი ცხოვრებისა და კულტურის შესახებ, განსაკუთრებით დაინტერესდით, თუ როგორ ზრდიან ბავშვებს და როგორ ამყარებენ სხვებთან კომუნიკაციას.

თუ შვილები არ გყავთ, თქვენთვის ძნელი იქნება იმის წარმოდგენა, რას გრძნობს ოჯახი. ამის მიუხედავად, თქვენ მათთან ერთად იზიარებთ ვალდებულებას, ბავშვს წარმატების მიღწევაში რომ დაეხმაროთ. როცა თქვენ მზად იქნებით, ბავშვი დაინახოთ ოჯახის თვალთახედვით, თქვენ შეძლებთ იმის გაგებას, რომ განსხვავებული გარემოება წარმოშობს განსხვავებულ ქცევას და მოითხოვს პრობლემების განსხვავებულ გადაწყვეტას და თქვენი თანამშრომლობაც დაიწყება.

ოჯახთან შეხვედრა

შეხვედრის მოწყობა

თქვენი პირველი შეხვედრა ოჯახთან პრობლემური ქცევის ბავშვზე სასაუბროთ, თქვენს ურთიერთობებს ოჯახთან ახალ ელფერს შესძენს. შეხვედრის შედეგები, ოჯახის მოკავშირედ ან მტრად გაქცევთ, და ცხადია, ეს იარაღი გავლენას მოახდენს მომავალ ურთიერთობებზე. მნიშვნელოვანია, თავი არ წარმოვაჩინოთ ექსპერტად ან ავტორიტეტად. როცა თქვენ და ოჯახი ერთმანეთს თანასწორად მიიჩნევთ, აღიარებთ ერთმანეთის ცოდნას და გააცნობიერებთ, რომ აზრთა სხვადასხვაობა ნორმალურია, შეგიძლიათ ერთობლივი ძალით დასახოთ მიზნები, შეადგინოთ გეგმები და გადაწყვიტოთ პრობლემები.

სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა ადამიანი იღებს პასუხისმგებლობას ბავშვების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაზე. ზოგიერთ კულტურაში, მთავარი სათქმელი კაცებს ეკუთვნის, ზოგიერთში – ოჯახის უზუცეს წევრებს, რომლებიც ოჯახს სათავეში უდგანან, ზოგიერთში კი – დედებს. სანამ ოჯახს დაუკავშირდებით, დაადგინეთ, ვის უნდა მიმართოთ პირველ რიგში და ვინ უნდა დაესწროს კიდევ შეხვედრას. ასევე გაარკვიეთ, რა სახელებს იყენებენ ოჯახში მიმართვისთვის და მიმართეთ მათ ბატონობით და ქალბატონობით, როცა ტელეფონითა და პირადად ესაუბრებით.

თუ მშობლები გამოჩნდებიან ან განქორწინებულები არიან, მაგრამ ერთსა და იმავე ქალაქში ცხოვრობენ, ორივე მათგანს შესთავაზეთ შეხვედრაში მონაწილეობა. განსაკუთრებით, თუ ორივეს აქვს მეურვეობა. ორივე მხარისთვის უმჯობესი იქნება პირდაპირ თქვენგან ერთი და იმავე ინფორმაციის მიღება ერთსა და იმავე დროს. ბევრჯერ გააფრთხილეთ თითოეული მათგანი, რომ მათი ყოფილი ცოლი ან ქმარი იქნება შეხვედრაზე!

პირველად უმჯობესია, ტელეფონით დაუკავშირდეთ. რადგან მშობლებთან სამსახურში დარეკვა პანიკას გამოიწვევს, დაურეკეთ მათ სახლში, სადაც შეგიძლიათ უფრო მეტად მშობლები ტონით ესაუბროთ და სიტყვები ფრთხილად შეარჩიოთ. რადგან სახლში დარეკვისას იქვე ოჯახის რამდენიმე წევრი იქნება, უფრო გაგიადვილდებათ ყველასთვის მოსახერხებელი დროის შერჩევა.

აუცილებელია საუბრის დადებითი შეფასებით დაწყება. გაიხსენეთ წინა დღეები, გააკეთეთ შენიშვნები და წინასწარ მოამზადეთ რამდენიმე გამამხნეველი კომენტარი. თუ თქვენ ბლანკს ავსებთ, ყურადღება გაამახვილეთ დადებითი ქცევის მოძებნაზე. როცა მშობლებმა იციან, რომ თქვენ აფასებთ მათი ბავშვის მონაცემებს, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ისინი თქვენთან ურთიერთობასაც და ბავშვის პრობლემასაც უფრო კონსტრუქციულად მიუდგებიან.

დაიწყეთ თქვენი თავის გაცნობით, შემდეგ ისაუბრეთ დარეკვის მიზეზზე. უმჯობესია, ბუნდოვნად თუ არ ეტყვიან: „მე მინდა მარის შესახებ გესაუბროთ“, რადგან მშობლები ამ შემთხვევაში ცუდს ფიქრობენ. ამის ნაცვლად აღწერეთ ზუსტად ის ფაქტები, რაც შენიშნეთ: მაგალითად, ის ცემს სხვა ბავშვებს და უფუჭებს მათ ნამუშევრებს. უთხარით მათ, რაც სათქმელი გაქვთ, რას აკეთებთ ჯგუფში და ჰკითხეთ რჩევა. იყავით ფრთხილად, არ დაადანაშაულოთ ან არ განსაჯოთ ისინი (Dunst, 2002).

ზოგი მშობელი აღელვებით ელოდება თქვენს ზარს, ზოგისთვის კი ეს ზარი მოულოდენელია. მათი დანაშაულის, გაბრაზების, იმედგაცრუების, შეცბუნების გრძობა აუცილებლად ძლიერდება და მათ რეაქციებზე ახდენს გავლენას. მათ შეიძლება უარყონ, გაამართლონ, ლოგიკური ახსნა მოუძებნონ ბავშვის ქცევასან კიდევ უარი თქვან პასუხისმგებლობაზე: „ის ასეთი არ არის სახლში“, „შეიძლება ის მოწყენილია“, „სამეზობლოში მას ბევრი მეგობარი ჰყავს“, „ჩვენ ახლა გავქორწინდით“, „ის არასდროს გვისმენს მაშინაც კი, როცა ჩვენ მას ვცემთ“. იმ მშობლებმაც კი, რომლებიც თითქოს თანამშროლობენ, შეიძლება უმწეოდ და დაუცველად იგრძნონ თავი (Losen & Diament, 1978). აჩვენეთ თქვენი თანაგრძობა და ყურადღებით მოუსმინეთ.

ესაუბრეთ მათ მანამდე, სანამ გააგებინებთ, რომ ბავშვზე ზრუნავთ და გსურთ მასთან მუშაობა. ზოგიერთი მშობელი იმდენს საუბრობს, რომ შეიძლება შეხვედრა გადაგაფიქრებინოთ. ეცადეთ, რომ საქმე აქამდე არ მიიყვანოთ. ზრდილობიანად აღნიშნეთ, რომ უმჯობესია, ეს საკითხები შეხვედრაზე განიხილოთ. როცა ყველას მიეცემა პრობლემის განსჯის საშუალება, საუბარი უფრო პროდუქტიული იქნება.

დაგეგმეთ შეხვედრა რაც შეიძლება მალე. შეხვედრის დროის შეთანხმებისას დასრულების დროც განსაზღვრეთ. იმის ცოდნა, თუ რა საკითხზე იქნება შეხვედრა, ყველას დაეხმარება შეხვედრაზე ერთსა და იმავე თემაზე საუბარში და შეხვედრის დასრულებისას მშობლები შეურაცხყოფილად აღარ იგძნობენ თავს. შეხვედრისთვის გამოყავით საკმარისი დრო, რომ არ იჩქაროთ. ზოგ კულტურაში მშობლები შენიშნავენ, რომ გეჩქარებათ და ანგარიშსაც გაგიწევენ, მაგრამ ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ მათ პატივს არ სცემთ, შეურაცხყოფილები და ნაწყენები დარჩნენ, რაც ბავშვს ვერ დაეხმარება.

თუ თქვენ მათ ენაზე არ საუბრობთ, იკითხეთ, თუ სურთ თარჯიმნის დახმარება და გადაწყვიტეთ, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას მის მოძებნაზე. კარგია, თუ უფროს და-ძმას ძალას არ დავატანთ, რომ ჩაერთონ (Lynch, 2004a). ოჯახის წევრებს შესაძლოა, არ სურდეთ დელიკატური საკითხების განხილვა და-ძმების თანდასწრებით და ბავშვის თარჯიმნად კი არ უნდათ უცხო ადამიანი, რომელიც მათი ოჯახისთვის მგრძობიარე საკითხებს გაიგებს. ამასთან, ასეთ პოზიციაში ყოფნა ცვლის დედ-მამიშვილების ურთიერთობას უფროსებთან და ქმნის პრობლემებს როგორც ბავშვისთვის, ისე მშობლისთვის. მეორე მხრივ, ოჯახისთვის შეიძლება არაკომფორტული იყოს უცნობთან საუბარი და იმავე კულტურული საზოგადოების წევრმაც შეიძლება შეუქმნას მას პრობლემა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და საიდუმლოების დაცვის მხრივ (Lynch, 2004a). თუ თქვენ აიყვანთ თარჯიმანს, კიდევ ერთხელ შეამოწმეთ ოჯახი, რომ თქვენი არჩევანით კმაყოფილი იყოს (Joe & Malach, 2004). კარგია, დახელოვნებული პროფესიონალების გამოყენება, ვისაც შეუძლია არა მარტო ენის, არამედ კულტურული თავისებურებების გაგება და იმის ახსნა, რა ითქვა და რა იყო ნაგულისხმევი.

საიდან მოდიან

მშობლები ხშირად თავდაცვით პოზიციას იჭერენ, როცა მასწავლებელი მათი ბავშვის რთულ ქცევაზე სასაუბროდ იწვევს. ასეთი რეაქციები შეიძლება წარმოიშვას

- გრძობისაგან, რომ მათ პრობლემის შესახებ მანამდე ამცნონ, სანამ ეს პრობლემა უფრო გამწვავდება.
- ფიქრისაგან, რომ ეს შეიძლება იყოს მასწავლებლისა და სხვა ბავშვების ბრალი.
- ბაღში ან სკოლაში მიღებული ადრინდელი ნეგატიური გამოცდილებისაგან.
- დიდ სტრესში ცხოვრებისაგან (Losen & Diament, 1978).

რა უნდა მოხდეს შეხვედრაზე?

პირველ რიგში, მოემზადეთ. გადაწყვიტეთ, რა უნდა თქვამთ და შეადგინეთ ჩამონათვალი იმ მიზნებისა და მთავარი საკითხებისა, რაც უნდა განიხილოთ. დააჯგუფეთ თქვენი ანგარიში, შენიშვნები და დაკვირვებები ისე, რომ არ დაგჭირდეთ საკითხების მოძიება შეხვედრის დროს.

ბალის/სკოლის მხრიდან პირველ შეხვედრას მხოლოდ თქვენ დაესწარით. სხვების ჩართვა ოჯახს შეაშინებს, ისინი იფიქრებენ, რომ მათი ბავშვის საკითხს მათ ზურგს უკან განიხილავთ. თუ თქვენ სასარგებლოდ მიიჩნევთ, შეგიძლიათ, მომდევნო შეხვედრაზე სხვა ადამიანიც დაასწროთ.

თუ ერთმანეთს ბაღში/სკოლაში ხვდებით, შეარჩიეთ მყუდრო ადგილი, ხელი რომ არავინ შეგიშალოთ, კარზე ჩამოკიდეთ ნიშანი „მიმდინარეობს შეხვედრა“. შეაგროვეთ უფროსებისთვის განკუთვნილი სკამები, დადგით იქ, სადაც შეხვედრას აწყობთ, თქვენსა და ოჯახს შორის არავითარი ფიზიკური ბარიერი არ უნდა არსებობდეს (მაგალითად, თქვენი სამუშაო მაგიდა). თუ შეხვედრას ბავშვიც დაესწრება, მოაგვარეთ საქმე ისე, რომ ბავშვზე იზრუნოთ.

გაითვალისწინეთ, რომ ბევრ კულტურაში კომუნიკაცია არაპირდაპირია და თავაზიანობა ძალიან ფასობს. ოჯახთან შეხვედრა თქვენგან უფრო ფორმალურ ჩაცმულობას მოითხოვს, ვიდრე ბავშვებთან ერთად იატაკზე ჯდომის დროს. მათ მიმართ თქვენი პატივისცემა გამოხატეთ ოფიციალური ტანსაცმლით. ლინჩი და ჰენსონი ასევე გვიჩვენებენ მშობლების კულტურული წარმომავლობის შესაფერისად ვიმოქმედოთ: მიართვით ჩაი ან ყავა, რამდენიმე წუთი ისაუბრეთ ზრდილობიანად ზოგად თემებზე, სანამ შეხვედრის ძირითად საკითხზე გადახვალთ და ოჯახის კულტურული წარმომავლობის შესაბამისად შეხვედრა ფორმალურად წარმართეთ (Joe & Malach, 2004). თუ თარჯიმანს გამოიყენებთ, გაითვალისწინეთ, რომ ის შუამავალია. ისაუბრეთ პირდაპირ ოჯახთან, რადგან მხოლოდ მათ მიმართავთ.

როცა ოჯახს ხვდებით, გულისხმიერად და ყურადღებით მოუსმინეთ. ისუნთქეთ ღრმად, რომ დაწყნარდეთ, დაიმასხოვრეთ, რომ თანამშრომლობაში ძალიან დიდი წვლილი უნდა შეიტანოთ: კარგად უნდა იცნობდეთ ბავშვს, განსჯის გარეშე მოუსმინეთ და პატივი ეცით ოჯახის აზრებსა და გრძნობებს.

ოჯახს ღიმილით შეხვდით. სანამ პრობლემებზე ისაუბრებთ, აცნობეთ მათ, თუ რა წარმატებებს აღწევს მათი შვილი: რას აკეთებს კარგად, ვინ არიან მისი მეგობრები და რა მოსწონს. შემდეგ კი ისაუბრეთ მისი პრობლემური ქცევის შესახებ, რასაც ამჩნევთ და რაში გჭირდებათ ოჯახის დახმარება. როცა მშობლებს ბავშვის ქცევებს, თქვენს მოლოდინებსა და თქვენ მიერ გამოცდილ სტრატეგიებს აცნობთ, ისაუბრეთ წყნარად, ფაქტებზე დაყრდნობით და კონკრეტულად. ესაუბრეთ ოჯახს იმაზე, თუ რას ხედავთ და არა იმაზე, თუ რას ფიქრობთ.

გუნდის შექმნა

როცა მკვლევარებმა (Blue-Banning, Summers, Frankland, Nelson & Beegle, 2004) მშობლებსა და პროფესიონალებს ჰკითხეს, რას აფასებდნენ თანამშრომლობაში, ექვსი თემა წამოიჭრა:

- კომუნიკაცია. მშობლებს სურთ, რომ პროფესიონალებთან კომუნიკაცია იყოს ხშირი, გულდია და გულწრფელი, ყოველგვარი პირფერობისა და ინფორმაციის დამალვის გარეშე. ამავე დროს, მათ მოსწონთ ორმხრივი კომუნიკაცია და ტაქტიანობა და ის პროფესიონალები, რომლებიც მათ პირადულს პატივს სცემენ, არ განსჯიან და დადებითად ესაუბრებიან.
- ერთგულება. პროფესიონალები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი საქმიანობა უფრო მეტია, ვიდრე სამუშაო დრო, მშობლების მოწონებას იმსახურებენ. მშობლები აფასებენ, როდესაც მასწავლებლები ხანდახან მზად არიან მათ სამუშაო საათების შემდეგაც შეხვდნენ ან ბავშვის დაბადების დღე ახსოვთ.
- თანასწორობა. მშობლებს სურთ, რომ პროფესიონალებმა მათი თვალსაზრისის საფუძვლიანობა გააცნობიერონ და ურთიერთობებში აფასებენ ჰარმონიისა და უფლებამოსილების გრძნობას.
- უნარ-ჩვევები. მშობლებს ძალიან მოსწონთ პროფესიონალები, რომლებიც მათი შვილებისთვის რაღაცის გაკეთებას ცდილობენ და აფასებენ მათ, ვინც აღიარებს, რომ რაღაც არ იცის და ცდილობს, გაიგოს.
- ნდობა. პირველ რიგში, მშობლების ნდობა ნიშნავს საიმედოობას, რომ პროფესიონალი იმას გააკეთებს, რასაც ამბობს. მეორე, ეს ნიშნავს უსაფრთხოებას, იმის უზრუნველყოფას, რომ ბავშვს პატივისცემით მოეპყრობიან და ტკივილისაგან დაიცავენ.
- პატივისცემა. პროფესიონალები პატივისცემას ამჟღავნებენ იმით, რომ ისინი ბავშვს როგორც პიროვნებას, ისე აფასებენ და ზრდილობიანად იქცევიან, ოჯახის წევრებს თქვენობით მიმართავენ, შეხვედრაზე დროზე ცხადდებიან და აცნობიერებენ ოჯახის წვლილს ბავშვის კეთილდღეობაში.

მოიწვიეთ მშობლები და გაიზიარეთ მათი მოსაზრებები, ასევე ბავშვთან მიღწეული ადრინდელი წარმატებები და ნებისმიერი ინფორმაცია, რაც მათ აქვთ თავიანთი ბავშვის ქცევის ან დიაგნოზის შესახებ. რატომ ხდება ეს? მის ყოველდღიურ ცხოვრებაში იყო რამე ახალი სტრესი ან ცვლილება? როგორ იქცევა სახლში? ადრეც ასე იქცეოდა და როგორ რეაგირებდნენ ისინი მის ქცევაზე? როგორ ჰობია მოქცევა ახლა? რა მიზნებს სახავენ თავიანთი ბავშვისათვის? ეს მიზნები პრობლემის რაიმე გადაწყვეტას გვთავაზობენ? ზოგიერთი მშობელი შესაძლოა უკვე მუშაობდა სპეციალისტთან ან მშობლების ჯგუფთან და იცის ბავშვების პრობლემების მოგვარებისთვის სათანადო მეთოდები. შეუძლიათ რამე რჩევის შემოთავაზება?

თუ ისინი აღნიშნავენ, რომ სახლში მათი ბავშვების ქცევაში არ არის პრობლემები, დაუჯერეთ მათ: შესაძლოა ამ ქცევას ისინი პრობლემად არ აღიქვამენ, პრობლემური ქცევის ყველა ბავშვს არ აქვს პრობლემები ჯგუფს გარეთ,

განსაკუთრებით ეს ითქმის დედისერთა ბავშვებზე. მნიშვნელოვანია, რომ მათ ზრდილობიანად უთხრათ, რომ მათი ბავშვის ქცევა პრობლემას ქმნის თქვენს კლასში, სადაც მან სხვა ბავშვებთან უნდა გაიზაროს სივრცე, სათამაშოები და ყურადღება. ფრთხილად შეახსენეთ, რომ თუ ბავშვს უჭირს ბაღის ჯგუფში, მას უფრო მეტად გაუჭირდება სკოლაში, სადაც უფრო ცოტა მასწავლებელი, მეტი ბავშვი და მეტი მოთხოვნებია.

ნებისმიერმა შენიშვნამ, რაც ბავშვს გააკრიტიკებს, შეიძლება მას ძალიან ატკინოს გული. ისინი თავს არ ზოგავენ მისთვის და ამიტომ შეიძლება განაწყენდნენ, გაბრაზდნენ ან დაუცველად იგრძნონ თავი. ნება მიეცით, გამოთქვან გრძნობები და მიეცით დრო, რომ შეეგუონ სიტუაციას. მოუსმინეთ ყურადღებით, რისი თქმა სურთ, აქტიური სმენა საშუალებას გაძლევთ, გაუგოთ მათ და მათ მიმართ თქვენი პატივისცემა და თანაგრძნობა გამოხატოთ. ყურადღება მიაქციეთ ზედაპირულ და სიღრმისეულ შეტყობინებებს და მათ გრძნობებს ასეთი ფრაზით უპასუხეთ: „რთულია არა?“ მათი ნათქვამის მნიშვნელობის უკეთესად გასაგებად გაიმეორეთ ის და ამით დაადასტურეთ, რომ გაიგეთ.

როცა საუბრობთ, აკონტროლეთ თქვენი სხეულის ენა. გაშალოთ ხელები და გაიმეორეთ მშობლების შეტყობინებები. თუ ისინი საუბარისას წინ იხრებიან, ასევე მოიქცით თქვენ. ასევე გააკონტროლეთ თვალით კონტაქტი. გასხვდეთ, რომ ეს შეიძლება კულტურული წარმომავლობის საკითხი იყოს და მნიშვნელოვანია, რომ საუბარში მათ მიმართ პატივისცემა აჩვენოთ. ყურადღება მიაქციეთ საუბრის სისწრაფეს, ტემპს და ტონს. მათი საუბარი, სახის გამომეტყველება და შესტები მათივე ემოციების გასაღებს გაძლევენ.

ხანდახან მასწავლებლებს ეშინიათ, რომ ბავშვს ოჯახი დასჯის. თუმცა თქვენი და ოჯახის სტრატეგიების შეთანხმება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება, თქვენი საქმე არ არის, მშობლებს ურჩიოთ, როგორი მშობლები უნდა იყვნენ და დაუკითხავად მიღებულმა რჩევამ (არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად სასარგებლოა) შესაძლოა მათ აგრძნობინოს, რომ უტყვენ. ამის ნაცვლად მათ უთხარით, როგორ გაუმკლავდით სიტუაციას, და თუ ისინი წამოჭრიან საკითხს, ესაუბრეთ მათ, მათი აზრით, რა უნდა მოხდეს სახლში. სავარაუდოდ, ისინი გაცნობიერებენ, რომ თქვენ ეს საკითხი უკვე გადაწყვიტეთ ან გსურთ, მსგავსი შედეგის მიღება. თქვენ უნდა აღნიშნოთ, რომ ყველაზე ეფექტური შედეგი არის ის, რასაც მყისიერად იღებთ.

იმჯელეთ იმდენ იდეაზე, ტაქტიკაზე, მიდგომაზე, რამდენიც შესაძლებელია და შეიმუშავეთ გეგმა. შემდეგ დაგეგმეთ შემდეგი თათბირი ბავშვის პროგრესის შესაფასებლად და ისე მოაგვარეთ ყველაფერი, რომ მშობელმა თავი გარიყულად არ იგრძნოს: „ჩვენი შეხვედრა დასრულდა. მე მხოლოდ მინდა, რომ შევაჯამოთ, რაზეც ვიმსჯელებთ და რაც სამომავლოდ დავსახეთ“. მაღლობა გადაუხადეთ მშობლებს პრობლემის გადაწყვეტაში შეტანილი წვლილისთვის. მათთვის მნიშვნელოვანია, გრძნობდნენ, რომ ბავშვიცა და მისი პრობლემებიც მათ ეკუთვნით, მათზეა დამოკიდებული ამ პრობლემის გადაწყვეტა და ბავშვის პოტენციური წარმატების მიღწევა.

როცა მშობლები წავლენ, გააკეთეთ შენიშვნები და შეაფასეთ, როგორ ჩატარდა შეხვედრა. თქვით ის, რაც გინდოდათ გეთქვათ? რა რეაქცია ჰქონდათ მშობლებს? რა ვალდებულებები შეასრულა ყველამ? არის თუ არა გარკვეული, რა მოხდება შემდეგში? კიდევ ერთხელ მისწერეთ მოკლე წერილი ოჯახს, მადლობა გადაუხადეთ და კიდევ გაუმეორეთ ის გადაწყვეტილებები, რაც ერთად მიიღეთ. თუ შეთანხმდით, რომ ინფორმაცია გაგეზავნათ ან ვინმესთვის დაგერეკათ, ეს დავალება რაც შეიძლება მალე შეასრულოთ.

ოჯახის სოციალური უნარ-ჩვევები

ოჯახთან პრობლემის გადაჭრა ჰგავს პრობლემის გადაჭრას ბავშვთან. ელენ გალინსკი (1988) გვიჩვენებს ექვსი ნაბიჯის გამოყენებას:

- პირველ როგში, აღწერეთ სიტუაცია, როგორც პრობლემა. თავი აარიდეთ დადანაშაულებას ან იმაზე მითითებას, რომ პრობლემის არსი დევს მშობლების პიროვნებაში ან ბავშვში.
- წარმოადგინეთ სხვადასხვა გადაწყვეტილებები. ორივე მხარემ – მშობლებმა და პროფესიონალებმა, უნდა შეიტანოს წვლილი, არავის წინადადება არ უნდა იქნეს უგულვებელყოფილი, მასხრად აგდებულ ან უარყოფილი.
- განიხილეთ თითოეული რჩევის დადებითი და უარყოფითი მხარეები.
- მიდით კონსენსუსამდე, თუ რომელი გადაწყვეტილება უნდა გამოსცადოთ.
- განიხილეთ, როგორ უნდა განახორციელოთ ეს გადაწყვეტილებები.
- შეთანხმდით კვლავ შეხვედრაზე იმის შესაფასებლად, რა შედეგი გამოიღო ამ გადაწყვეტილებებმა და თუ საჭიროა შეცვალოთ თქვენი მიდგომა (გვ.11).

რა მოხდება, თუ თქვენ და ოჯახი ერთმანეთს არ ეთანხმებით?

საქმეები ყოველთვის კარგად არ მიდის. როცა კონფლიქტი წარმოიშობა, პირველად მიაქციეთ ყურადღება, რას გრძნობთ (რაც დაგეხმარებათ ამ გრძნობების განმუხტვაში) და შემდეგ ეს გრძნობები უჯრაში ჩაკეტეთ, სადაც შეგიძლიათ მოგვიანებით მოძებნოთ. თუ გინდათ, რომ ყველასათვის მისაღებ გადაწყვეტილებამდე მიხვიდეთ, თქვენ გჭირდებათ გახსნილი გონება, ჭკუა, კარგი თვალის და ყური. ამისათვის უნდა იყოთ მშვიდები და პროფესიონალები. თუმცა თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი არის დისკუსიის გაგრძელება: ერთ აზრამდე მისვლას დრო და კომუნიკაცია სჭირდება.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ყველაზე კარგია მოსმენა. მაშინაც კი, როცა არ ეთანხმებით, რასაც მშობელი ამბობს, მნიშვნელოვანია, მათ გრძნობებს დაეთანხმოთ. ეს პატივისცემის გამომხატველია. ასევე, აქტიური სმენა ძალიან სასარგებლოა. თუ ისინი ამბობენ: „მარი ამბობს, რომ მას ყოველთვის სჯობს“, თავი შეიკავეთ და იმპულსურად არ უპასუხოთ „მარი ტყუილს ამბობს“. სცადეთ, გაიგოთ მათი გრძნობები და უპასუხეთ: „თქვენ ღელავთ იმაზე, რომ მარის სამართლიანად არ მოვექცევი“.

როცა თქვენ და ოჯახი სხვადასხვა კულტურებიდან მოდიხართ, ადვილი წარმოსადგენია, რომ ერთმანეთს ვერ გაუგოთ. როცა ადამიანებს ესმით ერთმანეთის და ერთმანეთის კულტურის, გადაწყვეტილების მიღების მანსები მატულობს. ან სულ მცირე, უთანხმოების მოგვარების შესაძლებლობა იზრდება.

ზოგიერთი ფასეულობა მოლაპარაკებას არ ექვემდებარება, მაგალითად, ის ფასეულობები, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციამ (ადამიანთა უფლებების შესახებ გაეროს უმაღლესი კომისია, 1989). მაგალითად, თქვენ არასდროს დაეთანხმებით ბავშვის ცემას, მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად გულდასმით ასაბუთებს ამას მშობელი. ასევე არ შეურიგდებით რასობრივ ან გენდერულ უთანასწორობას. მაგრამ სხვა სიტუაციები არ არის ასეთი აშკარა. თქვენ შეიძლება ფიქრობდით, რომ ვერასდროს შეცვლიდით თქვენს პრაქტიკას და მოგვიანებით კი მიხვდეთ, რომ ზოგიერთი ცვლილება ბავშვს უფრო ბედნიერს გახდიდა. ისეთი რუტინული ქმედებები, როგორცაა ჭამა, ძილი და ტუალეტი ამ კატეგორიაში ექცევა. ასევე სერიოზულად უნდა შეხედოთ მშობლის მოთხოვნას, რომ, მაგალითად, მისი ბავშვი უფრო დიდხანს გეჭიროთ ხელში და იზრუნოთ მასზე (Chud & Fahlman, 1995). აქედან ჩანს, რომ ეს არის დიალოგის, მოლაპარაკების, პრობლემის გადაჭრის და კომპრომისის საკითხი და ბავშვის ინტერესებს ითვალისწინებს. შეიძლება პრობლემა გადაჭრათ, შეიძლება შეთანხმდეთ ან ვერ შეთანხმდეთ, ყველა შემთხვევაში კარგია, თუ ღია კომუნიკაცია გექნებათ და ერთმანეთს პატივისცემით მოექცევით.

თუ შიშობთ, რომ მომავალი შეხვედრა დაპირისპირებული იქნება, მესამე მხარეს სთხოვეთ, რომ შემოგიერთდეთ. ამოირჩიეთ ის პიროვნება, ვისაც შეხვედრაზე მოსვლის ლეგიტიმური უფლება ექნება. მაგალითად, ფსიქოლოგი, სპეც პედაგოგი, სხვა მასწავლებელი, დირექტორი, და ოჯახსაც აცნობეთ, ვინ დაესწრება შეხვედრას.

გახსნილი გონება

სარა ლოურენს-ლიგფუთის ნაშრომში „არსებითი საუბრები“ აღწერილია მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობები, იგი წერს:

ჩვენ უნდა ... ვადიაროთ, რომ კონფლიქტი მშობელსა და მასწავლებელს შორის ურთიერთობისათვის დამახასიათებელია, რისი უგულუბელოყოფა ან თავიდან აცილება

შეუძლებელია. მას უნდა შევხვდეთ გახსნილი გონებითა და გულით, დავინახოთ და სახელი დავარქვათ და მასზე ვიმუშაოთ დროთა განმავლობაში.

როგორ აგვარებთ პრობლემურ ქცევას მშობლის თანდასწრებით?

როცა მასწავლებელი და მშობლები ერთ ოთახში არიან, მაგალითად, სკოლამდელ დაწესებულებაში, მოსვლის და წასვლის დროს, ეზოში გასეირნებისა და სპეციალური ღონისძიებების დროს, ყველა ოდნავ იბნევა და ვერ ხვდება, თუ ვინ არის უფროსი და ამან შეიძლება პრობლემური ქცევა წარმოშვას. თუ მშობლები არაფერს მოიმოქმედებენ, გამოიყენეთ შანსი და უჩვენეთ მათ შესაბამისი ქცევის ნიმუში. თუ ისინი იმოქმედებენ, თქვენ შესანიშნავი საშუალება გეძლევათ, დააკვირდეთ მათ ურთიერთობას ბავშვთან და არ აქვს მნიშვნელობა, რას ფიქრობთ მათ ურთიერთობაზე, თქვენ არ უნდა ჩაერიოთ.

რა მოხდება, თუ ბავშვი დაშავდება?

როცა ბავშვს სხვა ბავშვი აყენებს ზიანს და პირველადი დახმარება სჭირდება, თქვენ აუცილებლად უნდა უთხრათ ზედამხედველს ან დირექტორს, რომ მშობლებს აცნობოს.

მას შემდეგ რაც დაშავებული ბავშვის მშობლები მოვლენ, უთხარით მათ ზუსტად, რა როგორ მოხდა, მაგრამ არ ახსენოთ იმ ბავშვის სახელი, ვინც ეს ჩაიდინა (თუმცა ბავშვებმა შეიძლება უთხრან თავიანთ ოჯახს, რაც მოხდა, მაგრამ თქვენ აუცილებლად უნდა დაიცვათ სხვისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა). მოემზადეთ იმისთვის, რომ მშობლები გაბრაზდებიან. მათ შეიძლება დაგადანაშაულონ, რომ სათანადო ყურადღებას არ უთმობთ ბავშვებს ან მოითხოვონ, რომ ბავშვმა დატოვოს ჯგუფი და თქვენს ახსნა-განმარტებას არც კი მოუსმინონ. რამდენადაც შეგიძლიათ, შეინარჩუნეთ სიმშვიდე. ერთ-ორ დღეში დირექტორი მათ ცალკე დაელაპარაკება სიტუაციის მოგვარების გეგმის შესახებ.

ისეთი ბავშვების მშობლებიც კი, რომლებიც ამ საქმეში პირდაპირ არ არიან ჩარეული, შეიძლება განაწყენდნენ, პროტესტი გამოხატონ, ჭორაობა დაიწყონ ან დაუკავშირდნენ ბაღის/სკოლის დირექტორს. ზოგიერთმა შეიძლება თავის ბავშვებს მიუთითოს, რომ არ ითამაშონ იმ ბავშვთან, რომელიც აგრესიულად იქცევა. აუხსენით, რომ ყურადღებით იჩენთ ყველა ბავშვის უსაფრთხოების მიმართ და ასწავლეთ ბავშვებს, რომ თავი სიტყვებით დაიცვან. ეს უნარ-ჩვევამათ ეზოშიც დაჭირდებათ და ცხოვრებაშიც. თუ ოჯახებს სურთ მეტი ინფორმაცია ან სხვა ბავშვის შესახებ საუბარი, ადმინისტრაციაში გადაამისამართეთ.

მუშაობა სხვა ექსპერტებთან

როგორ მივიღოთ ექსპერტის რჩევა?

ზოგჯერ დროა ექსპერტს დავურეკოთ. გახსოვდეთ, რომ დახმარების თხოვნა არ არის სისუსტის ნიშანი, უფრო მეტიც, ეს სიბრძნის ნიშანია. თქვენ ცდილობთ თქვენი პრობლემის გადაჭრას შემოქმედებითად ფიქრითა და ახალი უნარ-ჩვევების შეთვისებით. თქვენ უნდა ენდოთ თქვენივე პროფესიონალურ შეფასებას – ბავშვის განვითარების შესახებ თქვენს ცოდნას, ინსტიქტს, რომელიც თქვენ ბავშვებთან მუშაობით გაგივითარდათ, იმის გაცნობიერებას, თუ როგორ შეუძლიათ, ბავშვებს გმართონ. მნიშვნელოვანია, იმოქმედოთ მანამდე, სანამ იგრძნობთ, რომ კრიტიკულ მდგომარეობას მიაღწიეთ. გადალლილ მოზრდილს არ შეუძლია მართოს ბავშვი, მისი პრობლემური ქცევა ან შეასრულოს კონსულტანტის რეკომენდაცია.

ზედამხედველთან ან დირექტორთან ერთად განიხილეთ, რა მომსახურებების მიღება შეგიძლიათ. ეს შეიძლება იყოს ფსიქოლოგის ან სოციალური მუშაკის მომსახურება, რომლებიც ბალთან ან სკოლასთან მუშაობენ დროდადრო ან კიდევ, თქვენს ბალს შესაძლოა ჰყავდეს მრჩეველი ან გარე მხარდაჭერის გუნდი თქვენს დასახმარებლად. თუ თქვენ მათთან მუშაობა მოგიხდათ გარკვეული დროის განმავლობაში, მათ შეიძლება შემოგთავაზონ ფუნქციონალური შეფასებისა და დადებითი ქცევის წამახალისებელი გეგმა (იხილეთ თავი 10) ან სპეციალური განათლების შეფასება IDEA-ს ფარგლებში (იხილეთ თავი 11). ორივე შემთხვევაში ოჯახი უნდა ჩართოს და ფორმალური თანხმობა უნდა მოგცეთ. რადგან თქვენ ყოველთვის თანამშრომლობდით, ეს არ უნდა იყოს პრობლემა. მშობლებს შეახსენეთ, რომ ძალიან სასარგებლოა ახალი მოსაზრების მოხმენა. გაარკვიეთ, რას უნდა დააკვირდეს კონსულტანტი არა მარტო თავის ბავშვში არამედ თქვენსა და სხვა ბავშვებში. ამ ინფორმაციის ფლობა მშობლების თანხმობის მიღებას აადვილებს.

როცა შიდა ან გარე დამხმარე გუნდის წევრს შეხვდებით, რომელიც თქვენს ჯგუფს უნდა დააკვირდეს, აუხსენით, რა დაინახეთ, რა სტრატეგიები გამოსცადეთ და რა იცით ოჯახის აზრის შესახებ. როცა დაკვირვებები დასრულდება, შეიკრიბეთ მშობლებთან ერთად და შეიმუშავეთ ჩარევის გეგმა, რომელშიც გაწერილია ვადები და შეფასების მეთოდი. გარე დამხმარე გუნდის წევრმა ამ გეგმის განხორციელებაში დახმარება უნდა გაგიწიოს.

ამ ექსპერტმა გარკვეული სახის თერაპია უნდა შემოგთავაზოთ. რადგან ოჯახი რჩევებს უფრო იმ ხალხისგან იღებს, ვისთანაც ურთიერთობა აქვთ და ვინც მათ ბავშვს იცნობს (Koplow 2002), კარგი იქნება, ბავშვთან სახლში მომუშავე პროფესიონალთან დაგეგმილ შეხვედრაში თქვენც თუ მიიღებთ მონაწილეობას. დროის შერჩევაც ასევე მნიშვნელოვანია. თუ თქვენ და ოჯახს არ გისაუბრიათ ბავშვის ქცევაზე ან არ გიცდიათ რაიმე გადაწყვეტილება მიგეღოთ, მშობელს გაუჭირდება უცხო ადამიანის დახმარების მიღება. მან შეიძლება არ დაიჯეროს რომ

დამატებითი დახმარების მიღება აუცილებელია და შეიძლება ბოლომდე არ მიიყვანოს საქმე.

რადგან უმეტეს შემთხვევაში მშობლებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები და შეთანხმდნენ შეხვედრაზე, გააცანით თქვენი ბალის მუშაობის სისტემა და რესურსები მათ. თქვენს დირექტორს შეუძლია, დაგეხმაროთ, შეადგინოთ უახლესი სია სოციალური მომსახურებების, კლინიკების, კერძო ექიმების, ალტერნატიული სკოლებისა და პროგრამების, სოციალური მომსახურების ორგანიზაციების, რესურსებისა და იმ სააგენტოების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ, მშობლებმა მიმართონ. ოჯახში იმედგაცრუება რომ მინიმუმამდე დაიყვანოთ, პოზიტიურ მოლოდინებზეც ისაუბრეთ.

ყოველთვის შეეცადეთ, რომ ბავშვი და მისი ქცევა ერთმანეთისაგან გამიჯნოთ. დააკონკრეტეთ, რატომ ღელავთ ასე ძლიერ. გაიხსენეთ, რა სტრატეგიები სცადეთ და ახსენით, რომ ბავშვის ხანგრძლივი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მისი დახმარება. ისევ გაუმეორეთ, თუ როგორ აფასებთ მათთან თანამშრომლობას.

ეს სერიოზული საკითხია და გაცილებით რთულია ამაზე თანხმობის მიღწევა, ვიდრე იმაზე რომ ბავშვს, უბრალოდ, „ბაღში სირთულეები“ აქვს. ოჯახმა შეიძლება არ მოგისმინოთ, რაც უნდა უთხრათ. ეცადეთ, შთაბეჭდილება მოახდინოთ მასზე, რომ შემდეგში კითხვებით მოგმართონ. ზოგიერთმა ოჯახმა სპეციალისტის ან სპეციალური განათლების საჭიროების შესახებ მოსაზრება შეიძლება არ მიიღოს და ის გარიყვად ან სტიგმატიზაციის ფორმად მიიჩნიოს. მშობლები შეიძლება შეშინდნენ, თუ რას შეიძლება ეს ნიშნავდეს მათთვისან მათი ბავშვისთვის და თანხმობის მისაღებად ემოციური დახმარება დასჭირდეთ. მათ შეიძლება ასევე აღელვებდეთ კონსულტაციის ღირებულება და ხანგრძლივობა და დაფიქრდნენ, თუ როგორ უნდა მოარგონ ის თავიანთ უკვე გადატვირთულ ცხოვრებას. ასევე, ოჯახური პრობლემების სხვასთან განხილვა მათი კულტურული წარმომავლობისათვის შეიძლება შეუფერებელიც იყოს. თუ ოჯახს აქვს ადრინდელი უარყოფითი გამოცდილება სხვა პროფესიონალთან, მათ აღარ მოუხდებათ ისევ სცადონ. ჰკითხეთ, რა პრობლემები ჰქონდათ და სცადეთ, ეს პრობლემები შეუთანხმოთ მომსახურებას და პიროვნულობას, რაც მათ საჭიროებებს დააკმაყოფილებს.

სკოლამდელი ბავშვისთვის შეფასების მიღება რთული იქნება, რადგან ის სწრაფად იზრდება და მისი ნორმალური მდგომარეობა იმდენად სწრაფად ცვალებადია, რომ ზოგი პრობლემა, მაგალითად, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის დიაგნოზის დასმა რთული ხდება. პროფესიონალებს არ სურთ მათ ისეთი იარლიყი მიაკრან, რაც დიდი ხნის განამკვლობაში გაჰყვებათ.

შესაძლებელია, რომ ოჯახმა უარი თქვას გარეშე ჩარევის გეგმაზე. ეს მისი უფლებაა და მისი გადაწყვეტილება არ გულისხმობს, რომ მას თავისი ბავშვი არ უყვარს – ის არ არის მზად ან მისი შეხედულება არსებული მდგომარეობის შესახებ თქვენი შეხედულებისაგან განსხვავდება.

შეგიძლიათ, პრობლემური ქცევის ბავშვს სთხოვოთ, რომ ბალიდან/სკოლიდან წავიდეს?

თუ თქვენ მართლაც გამოუვალ სიტუაციაში ხართ, შეგიძლიათ დირექტორს სთხოვოთ, ყველანაირი ხერხი გამოიყენოს კრიტიკულ სიტუაციაში და მოგცეთ რამდენიმე დღე (ან საათი), რომ დაისვენოთ, დღის დარჩენილ მონაკვეთში სხვა პერსონალი დაიქირავოს ან ტრენინგი ან დახმარების სესიები დაგინიშნოთ. თუ უკვე განიხილეთ ეს სიტუაცია მასთან და თქვენს კოლეგებთან, ისინი გაიგებენ თქვენს თხოვნას და ეცდებიან, დაგეხმარონ. მათ ასევე საუკეთესო სურთ ბავშვისთვის. გადაღლა ლეგიტიმური ჩივილია და თქვენ უფლება გაქვთ დროებით არ იმუშაოთ.

როცა ბავშვი რეალურად საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის საშიში ხდება და როცა ყველა ხერხს ამოწურავთ, რაც თქვენ და ექსპერტს შეგიძლიათ გამოგეყენებინათ, შეიძლება გარიცხვაზე იფიქროთ. ხანდახან მშობლებისათვის თხოვნამ, რომ ბავშვი ბალიდან/სკოლიდან/პროგრამიდან გაიყვანონ, შეიძლება ბიძგი მისცეთ მათ, გარე სპეციალისტების ჩარევა გამოიყენონ და მაგრამ თქვენ მათ მაგივრად ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებთ.

ბავშვის გადაყვანა სხვა ჯგუფში იშვიათად არის კარგი გადაწყვეტილება. თუ აწესებულებას არ შეუძლია სხვა პერსონალის დაქირავება, ხშირად საჭიროა ხდება, რომ თანამშრომლებმა მეტი საქმე აიღონ თავის თავზე და განრიგიც შეცვალონ. არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება: მიჯაჭვულობა გადაწყვეტია ბავშვის განვითარებაში. თქვენ ამ ბავშვთან ბევრ დროს ატარებთ დღის განმავლობაში და მისი განვითარებისათვის (განსაკუთრებით მისი ნდობის განვითარებისათვის) მნიშვნელოვანია, მიხვდეს, რომ სანდო ხართ, მასზე იზრუნებთ და ზიანს არ მიაყენებთ. მას ბალიდან/სკოლიდან გაშვება დადებითს არაფერს ასწავლის. უფრო მეტი, ის მთლიანად გაანადგურებს მის თავდაჯერებულობას, თქვენი საქციელი ამკარად ეუბნება, „მე არ მინდა, რომ აქ იყო“ და გააძლიერებს ბავშვის ყველაზე უარყოფით წარმოდგენას საკუთარ თავზე.

იმის თქმა, რომ უკან აღარ დაბრუნდეს, ასევე აგრძნობინებს ბავშვს, რომ თქვენ ფიქრობთ, რომ ის ცუდია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ნამდვილად ცუდი გახდება. როცა ის მიდის სხვა სკოლაში, მას თან მიაქვს იმის შეგრძნობა, თუ ვინ არის და მასწავლებლებსა და თანატოლებს აჩვენებს, რამდენად ცუდია და არ ცდლობს, მათ (ან საკუთარ თავს), დაუმტკიცოს, რომ აღრინდელმა სკოლამ შეცდომა დაუშვა.

მასწავლებლებს პასუხისმგებლობა აკისრიათ, რომ ყველა ბავშვს ასწავლონ კლასში (და ყველა ბავშვს შეუძლია ისწავლოს).